



9775/3-122/21 2 21092021

9775/3-122/21

21-09-2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრს  
გიორგი სურმანიძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ბოლო მონაცემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ;
2. ბოლო მონაცემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა სრული რაოდენობისა და მათი სახელფასო ფონდის შესახებ.

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში და პროცედურის დაცვით მომწოდოთ წერილობითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
დავით ხაჯიშვილი





N 03/874  
27/09/2021

874-03-2-202109271440



საქართველოს პარლამენტის წევრს  
ბატონ დავით ხაჯიშვილს

**ბატონო დავით,**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი, თქვენი 21/09/2021წ. N9775/3-122/21 (სამინისტროში რეგ. N4046/03, 21/09/2021წ.) წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 77 ერთეულს, ამ დროისათვის ფაქტიურად დასაქმებულია - 71 საჯარო მოსამსახურე, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია - 15 თანამშრომელი.

2021 წლის იანვრიდან, სექტემბრის თვის ჩათვლით სამინისტროს აპარატის საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო, დანამატი) საკასო ხარჯმა შეადგინა - 1 317 722.87 ლარი, ამავე პერიოდში სამინისტროს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯმა შეადგინა - 149 991.33 ლარი, ამასთან სამინისტროში დასაქმებულთა 2021 წლის შრომის ანაზღაურების ფონდი განსაზღვრულია 1 894 444 ლარით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში, სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოში, სსიპ - ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში და ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრში სულ დასაქმებულია 550 თანამშრომელი, რომელთა სახელფასო ფონდი 2021 წლისათვის ჯამში შეადგენს - 6 631 291 ლარს.

ამასთან, დანართის სახით გეგზავნებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა რაოდენობის, შრომის ანაზღაურებისა და მათი სახელფასო ფონდის შესახებ შესაბამისი კორესპონდენციები.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი სურმანიძე

მინისტრი





N 08/570  
23/09/2021

570-08-2-202109231517



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
სოფლის მეურნეობის მინისტრს  
ბატონ გიორგი

ბატონო გიორგი,

თქვენი 2021 წლის 22 სექტემბრის N03/863 წერილის პასუხად გეგზავნებათ პარლამენტის წევრის ბატონ დავით ხაჯიშვილის 2021 წლის 21 სექტემბრის N9775/3-122/21 კორესპონდენციით მოთხოვნილი ინფორმაცია:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 42 ერთეულს, ხოლო მათზე გაცემული შრომის ანაზღაურება 2021 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით შეადგენს 612 178 ლარს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 10 ერთეულს, ხოლო მათზე გაცემული შრომის ანაზღაურება 2021 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით შეადგენს 86 861 ლარს.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში დასაქმებულ პირთა სრული რაოდენობა შეადგენს 52 ერთეულს, ხოლო მათი წლიური შრომის ანაზღაურების ფონდი შეადგენს 956 534 ლარს.

პატივისცემით,

ჯემალ ნაკაშიძე

სამმართველოს უფროსი





6010 ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N51  
ტელ: (0422 27 28 93)  
N 09/949  
23/09/2021

N51, Pridon Khalvashi Ave, Georgia 6010  
Tel: (0422 27 28 93)

949-09-2-202109231336



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
სოფლის მეურნეობის მინისტრს  
ბატონ გიორგი სურმანიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2021 წლის 22 სექტემბრის N 03/863 კორესპონდენციის პასუხად  
გეზავნებთ - სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- 1.დღეისათვის საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა არის 167, იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით მათი შრომის ანაზღაურა შეადგენს 1 330 167 ლარს;
- 2.დღეისათვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირთა რაოდენობა არის 73, იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით მათი შრომის ანაზღაურა შეადგენს 349626 ლარს;
- 3.დღეისათვის დასაქმებულთა სრული რაოდენობა არის 240 და მათი წლიური სახელფასო ფონდი შეადგენს 2 245 967 ლარს;

პატივისცემით,

ჯუმბერ აბულაძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.  
ხელმძღვანელობა



N აგრო-01/381  
24/09/2021

381-აგრო-01-2-202109241459



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
სოფლის მეურნეობის მინისტრს  
ბატონ გიორგი სურმანიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2021 წლის 22 სექტემბრის N03/863 წერილის პასუხად გეგზავნებათ პარლამენტის წევრის ბატონ დავით ხაჯიშვილის 2021 წლის 21 სექტემბრის N9775/3-122/21 კორესპონდენციით მოთხოვნილი ინფორმაცია:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს - ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 17 ერთეულს, ხოლო მათზე გაცემული შრომის ანაზღაურება 2021 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით შეადგენს 219269 ლარს.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს - ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა ბიუჯეტის სახსრებით შეადგენს 92 ერთეულს, ხოლო მათზე გაცემული შრომის ანაზღაურება 2021 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით შეადგენს 730554 ლარს.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს - ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა საკუთარი შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში შეადგენს 14 ერთეულს, ხოლო მათზე გაცემული შრომის ანაზღაურება 2021 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით შეადგენს 131825 ლარს.
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს - ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის დასაქმებულ პირთა სრული რაოდენობა შეადგენს 123 ერთეულს, ხოლო მათი წლიური შრომის ანაზღაურების ფონდი შეადგენს 1477446 ლარს.

გოჩა ბერიძე

დირექტორი  
ა(ა)იპ „აგროსერვისის ცენტრი“





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი

ქ. ბათუმი, სვიშჩევსკის 80/ტელ: (04 22) 25-13-68

ელ.ფოსტა: samebalab@gmail.com

156-1-2-202109231718



N 01-10/156

23/09/2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
სოფლის მეურნეობის მინისტრს  
ბატონ გიორგი სურმანიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2021 წლის 22 სექტემბრის №03/863 კორესპონდენციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 21 სექტემბრის 9775/3-122/21 წერილით გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას, წარმოგიდგენთ შესაბამის მონაცემებს დანართის სახით.

დანართი: 01 ფურცელი.

ვახტანგ გოგუაძე

ცენტრის უფროსი მ.შ

ხელმძღვანელობა



**სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი**

ბოლო მონაცემები სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის სამტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ			
რაოდენობა		მათი შრომის ანაზღაურება	
ბიუჯეტის შემოსავლებზე	საკუთარ შემოსავლებზე	ბიუჯეტის შემოსავლებზე	საკუთარ შემოსავლებზე
7	38	10500	43550
ბოლო მონაცემები სსიპ - ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ			
ბიუჯეტის შემოსავლებზე	საკუთარ შემოსავლებზე	ბიუჯეტის შემოსავლებზე	საკუთარ შემოსავლებზე
0	4	0	2850
სსიპ- ლაბორატორიული კვლევითი ცენტრში დასაქმებულთა სრული რაოდენობისა და მათი სახელფასო ფონდის შესახებ			
რაოდენობა		სახელფასო ფონდი	
49		56900	





9776/3-122/21 2 21092021

9776/3-122/21

21-09-2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს  
მაია ხაჯიშვილს

ქალბატონო მაია,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ბოლო მონაცემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ;
2. ბოლო მონაცემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა სრული რაოდენობისა და მათი სახელფასო ფონდის შესახებ.

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში და პროცედურის დაცვით მომწოდოთ წერილობითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
დავით ხაჯიშვილი



MES 0 21 0000989295



28/09/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ბატონ დავით ხაჯიშვილს

ბატონო დავით,

2021 წლის 21 სექტემბრის N9776/3-122/21 (სამინისტროში რეგისტრ. N956913)  
კორესპონდენციის პასუხად გაწვდით მოთხოვნილ ინფორმაციას თანდართული ფაილის  
სახით (იხ. მიბმული ფაილი).

პატივისცემით,

მინისტრი  
მაია ხაჯიშვილი

ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა შესახებ

N	ორგანიზაციის დასახელება	შტატის რაოდენობა	ხელფასი თვეში	შტატგარეშე თა რაოდენობა	ხელფასი თვეში	შენიშვნა
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	67	139350	17	18700	
2	ქვეპროგრამის კოორდინატორი			7	6700	
3	ბათუმის რესურსცენტრი	7	9470	3	1680	
4	ქობულეთის რესურსცენტრი	7	9457	4	2380	
5	ხელვაჩაურის რესურსცენტრი	7	9470	4	2380	
6	ქედის რესურსცენტრი	7	9457	4	2380	
7	მუახვევის რესურსცენტრი	7	9470	4	2380	
8	ხულოს რესურსცენტრი	7	9457	4	2380	
9	ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი	140	31254	2	1200	
10	ა(ა)იპ მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლა	252	125317	5	2650	
11	ა(ა)იპ -ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა	228	109134	14	5650	
12	ა(ა)იპ -ქ. ბათუმის რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლა	153	73380	2	790	
13	ა(ა)იპ -ქ. ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტი სკოლა	52	25471	2	1158	
14	ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა	60	29090	3	1630	
15	ა(ა)იპ - ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა	56	28200	3	2175	
16	ა(ა)იპ - ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე	53	20810	3	1670	
17	ა(ა)იპ - ბათუმის სასპორტო სკოლა	184	90455	14	20833	

18	ა(ა)იპ ბათუმის საჩოგბურთო სკოლა	22	16252	6	2350	
19	ა(ა)იპ - თანამედროვე ხელოვნების სივრცე	9	6260			
20	სსიპ - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	57	66050	4	2100	
21	სსიპ - აჭარის მუზეუმი	132	105435	18	10780	
22	სსიპ - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი	69	46723	2	1600	
23	სსიპ - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი არსიანი	122	90030	24	8083	
24	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი	321	217350	19	12970	
25	სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	156	121202	5	3025	
26	სსიპ - აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“	29	38960	3	2000	
27	სსიპ - ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ხორუმი“	80	47000	2	500	
28	ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი	12	7270	1	375	
29	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	25	44200	18	18955	
	ქვეპროგრამის კოორდინატორები			11	7745	
30	აჭარის სპორტის დეპარტამენტი	15	25200	5	3450	
31	აჭარის საარქივო სამმართველო	80	119650	7	5565	
32	საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა			27	20235	
სულ ჯამი		2416	1680824	247	176469	



9773/3-122/21 2 21092021

9773/3-122/21

21-09-2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს

ჯაბა ფუტყარაძეს

ბატონო ჯაბა,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ბოლო მონაცემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ;
2. ბოლო მონაცემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა სრული რაოდენობისა და მათი სახელფასო ფონდის შესახებ.

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში და პროცედურის დაცვით მომწოდოთ წერილობითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
დავით ხაჯიშვილი



5035-01-01-10-2-202109291652



N 01-01-10/5035

29/09/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ბატონ დავით ხაჯიშვილს

(მის. ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 8)

ბატონო დავით,

თქვენი, 2021 წლის 21 სექტემბრის №9773/3-122/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში სამტატო ერთეულებზე დასაქმებულია 247 თანამშრომელი და მათი შრომის ანაზღაურება თვეში შეადგენს 405807,47 ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით (სხვადასხვა საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში), დასაქმებულია 680 თანამშრომელი და მათი შრომის ანაზღაურება თვეში შეადგენს 441524,27 ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა სრული რაოდენობა შედგება 927 თანამშრომლისაგან და მათი თვიური სახელფასო ფონდი შეადგენს 847331,74 ლარს.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტყარაძე

მინისტრი





9772/3-122/21 2 21092021

9772/3-122/21

21-09-2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს  
ნინო ნიჟარაძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ბოლო მონაცემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ;
2. ბოლო მონაცემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა სრული რაოდენობისა და მათი სახელფასო ფონდის შესახებ.

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში და პროცედურის დაცვით მომწოდოთ წერილობითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
დავით ხაჯიშვილი







ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის სამინისტრო  
GEORGIA

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF HEALTH AND SOCIAL AFFAIRS

6210-05-2-202109301437



N 05/6210

30/09/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ბატონ დავით ხაჯიშვილს

**ბატონო დავით,**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2021 წლის 21 სექტემბერს შემოსული თქვენი (N9772/3-122/21) წერილის შესაბამისად, გიგზავნით ინფორმაციას სამინისტროს, სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსა და სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებულ პირთა ოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ.

- 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით სამინისტროში სამტატო ნუსხის მიხედვით გათვალისწინებულია 58 თანამშრომელი (მათ შორის ერთი ვაკანტური პოზიცია) და მათი შრომის ანაზღაურება შეადგენს 1 070 748 ლარს, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 20 პირი და მათი შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 225 845 ლარი. დასაქმებულთა სრული რაოდენობაა 77 და სახელფასო ფონდი შეადგენს სამტატო ერთეულებზე 1 478 220 ლარს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულებზე 309 600 ლარს.

- 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოში შტატით დასაქმებულია 23 პირი, მათზე შრომის ანაზღაურება შეადგენს 222 900 ლარს, ხოლო შტატგარეშეა 4 პირი და მათზე შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 31 500 ლარი. დასაქმებულთა სრული რაოდენობაა 27 და სახელფასო ფონდი სამტატო ერთეულებზე შეადგენს 322 800 ლარს, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულებზე 42 000 ლარს.

- 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სამტატო ნუსხის მიხედვით გათვალისწინებულია 44 თანამშრომელი და მათი შრომის ანაზღაურება შეადგენს 563 400 ლარს, ხოლო ხელშეკრულებით დასაქმებულია 14 პირი და მათი შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 66 915

ლარი. დასაქმებულთა სრული რაოდენობაა 58 და სახელფასო ფონდი შეადგენს საშტატო ერთეულებზე 759 840 ლარს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულებზე 91 081 ლარს.

პატივისცემით,

ნინო ნიჟარაძე

მინისტრი

ხელმძღვანელობა

*ნ. ნიჟარაძე*

